


მოცემული პუბლიკაცია მიმოიხილავს მეცხოველეობის ინდუსტრიაში არსებული პროდუქტების საბაზრო ფასების დინამიკას 2022 წლის **ნოემბრის** თვის განმავლობაში, თბილისისა და საქართველოს 10 რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრების მასშტაბით. ეტიკეტირებულ პროდუქტებზე დაკვირვება პროექტის ფარგლებში შერჩეულ ქსელური მარკეტების ფილიალებსა და ადგილობრივ, არაქსელურ მარკეტებში ხორციელდება, ხოლო არაეტიკეტირებულ პროდუქტებზე დაკვირვება - აგრარულ ბაზრებში. პუბლიკაციაში ასახული ფასები მოცემულია ეროვნულ ვალუტაში.

საშუალო ფასების გამოანგარიშებისას გამოყენებულია საშუალო შენონილი მეთოდი.

**ნოემბრისის თვე / 2022**


ნოემბერში, **ეტიკეტირებული ყველის** ფასებმა საგრძნობლად მოიმატა. მარკეტების მხრიდან ფასის ზრდა არის წინასწარი რეაგირება მოსალოდნელ გაძვირებაზე. საშუალოდ, თვიურმა ზრდამ, ნოემბერში **9.0%** შეადგინა.

**ეტიკეტირებული ყველის ფასები სუპერმარკეტებში**



**ნოემბრისის თვე / 2022**

**არაეტიკეტირებული ყველის ფასები აგრარულ ბაზრებში**




ეტიკეტირებულთან შედარებით, ყველის ფასები **აგრარულ მარკეტებში** შედარებით სტაბილურია. აღსანიშნავია იმერული ყველი, რომელზეც ფასი ნოემბერში **5.6%-ით** გაიზარდა, ხოლო ქარხნულ და სულგუნ ყველზე კი ცვლილებები მცირე იყო.

**ნოემბრისის თვე / 2022**

ნოემბერში სტაბილური იყო მანონის ფასები. საშუალო ფასი **4 თეთრით** შემცირდა და **2.33 ლარი** შეადგინა. ამავდროულად, გაზრდილი მაქსიმალური ფასი მცხეთა-მთიანეთში დაფიქსირდა და **2.63 თეთრი** შეადგინა.

**ეტიკეტირებული მანონის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური ფასი**



საქონლის ხორცის ნომბერის ფასები პროდუქტის მიხედვით განსხვავდება. როგორც ქსელურ, ასევე აგრარულ მარკეტებში ფასის ტენდენცია მსგავსია. აღსანიშნავია, რომ საქონლის არტალა და ხბოს ძვლიანი გაძვირდა, ხოლო საქონლის რბილი კი გაიაფდა.


ეტიკეტირებული

საქონლის არტალა	9.0%	20.5 ლ
საქონლის ძვლიანი	0.9%	22.1 ლ
საქონლის რბილი	-2.0%	29.7 ლ
ხბოს ძვლიანი	5.0%	21.0 ლ
ხბოს რბილი	-6.4%	28.0 ლ

არაეტიკეტირებული

საქონლის არტალა	4.9%	12.8 ლ
საქონლის ძვლიანი	-0.6%	17.6 ლ
საქონლის რბილი	-5.7%	19.9 ლ
ხბოს ძვლიანი	1.0%	19.8 ლ
ხბოს რბილი	1.4%	21.4 ლ

ნომბერში ნედლი რძის ფასი საგრძნობლად, 20 თეთრით, გაიზარდა და 1.95 ლარს მიაღწია. ერთ თვეში ნედლ რძეზე ფასის 10%-იანი ზრდა საკმაოდ იშვიათი მოვლენაა. მწარმოებლების მიხედვით, წინა წლისგან განსხვავებით, გაძვირება გამოწვეულია იაფი მუშახელის ნაკლებობით.



ნომბერში არასტაბილური იყო საქონლის საკვების ფასები. მნიშვნელოვნად გაძვირდა თივა (+16%), იონჯა (+15%), ქერი (+16%) და ხორბალი (+16%). პარალელურად, გაიაფდა სიმინდი (-11%) და მზესუმზირის შროტი (-20%).

	სილოსი	0.37 ლ	0.0% ≈		თივა	0.44 ლ	16.0% ↗		იონჯა	0.68 ლ	15.0% ↗
	ქერი	1.1 ლ	16.0% ↗		სიმინდი	0.8 ლ	-11.0% ↘		ხორბალი	1.1 ლ	16.0% ↗
	სოიოს შროტი	2.47 ლ	-3.0% ↘		მზესუმზირის შროტი	1.2 ლ	-20.0% ↘				
	ქათმ	0.83 ლ	4.0% ↗		ცხოველის მზა საკვები	1.63 ლ	0.0% ≈				